

ტექნიკური დავალება

ბორჯომის მინერალური წყლის საბადოს ლიკანის უბნის საექსპლუატაციო ჭაბურღილი № 59-ის სალიკვიდაციო ტამპონაჟის სამუშაოების ჩატარების შესახებ

1. სამუშაოს ჩატარების ადგილი:

ბორჯომის მუნიციპალიტეტი, ბორჯომის მინერალური წყლის საბადოს ლიკანის უბანი; მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირი, ჭაბ.№ 59-ის სანიტარული დაცვის პირველი (მკაცრი) ზონის ფარგლებში;

2. სამუშაოთა მიზანი:

ბორჯომის მინერალური წყლის საბადოს ლიკანის უბნის საექსპლუატაციო ჭაბურღილი № 59-ის სალიკვიდაციო ტამპონაჟის სამუშაოების ჩატარება;

3. ჭაბურღილი №59-ის კონსტრუქციული და ჰიდროგეოლოგიური მონაცემებია:

- ფაქტიური სიღრმე - 700,0 მ;
- დანიშნულება - საექსპლუატაციო;
- ბურღვის პერიოდი - 12.01.1966 - 31.08.1966 წწ;
- აბსოლუტური ნიშნული - 794,31 მ.;
- ჭაბ-ის ლულის ბურღვის დიამეტრი:
 - 0,0 – 19,6 მ - Φ 243 მმ;
 - 19,6 – 282,0 მ - Φ 190 მმ;
 - 282,0 – 310,0 მ - Φ 151 მმ;
 - 310,0 – 622,0 მ - Φ 131 მმ;
 - 622,0 – 668,0 მ - Φ 92 მმ;
 - 668,0 – 700,0 მ - Φ 75 მმ.
- ჭაბურღილის ლულა გამაგრებულია შავი ლითონის მილებით შემდეგ ინტერვალებში:
 - 0,0 – 19,5 მ - Φ 219 მმ;
 - 0,0 – 282,0 მ - Φ 168 მმ;
 - 225,0 – 310,0 მ - Φ 146 მმ;
- ჭაბურღილის ლულა გამაგრებულია უჟანგავი ლითონის კომბინირებული საექსპლუატაციო კოლონის მილებით შემდეგ ინტერვალებში:
 - 0,0 – 360,0 მ - Φ 108 მმ (360,0 მ);
 - 360,0 – 389,0 მ - Φ 89 მმ (29,0 მ);
 - 389,0 – 668,0 მ - Φ 76 მმ (279,0 მ).
- ჭაბურღილის ლულის 668,0-700,0 მ ინტერვალი ღიაა (სამაგრი მილების გარეშე);
- ჭაბურღილის საექსპლუატაციო ინტერვალის ლითოლოგია და ასაკი:
 - ქვედა პალეოცენური ასაკის კირქვები და ნამსხვრევებიანი (ბრექჩიული) კირქვები, ნაპრალოვანი.

4. შესასრულებელი სამუშაოები

ჭაბურღილი № 59-ის ხანდაზმულობის, უაღრესად რთული კონსტრუქციის და ჰიდროგეოლოგიური პირობების გამო სალიკვიდაციო სამუშაოების ჩატარებისათვის საჭირო იქნება კომპლექსური სამუშაოების ჩატარება, ჭაბურღილის ლულაში ფაქტიურად არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით.

ჭაბურღილი №59-ის სალიკვიდაციო ტამპონაჟის სამუშაოები უნდა ჩატარდეს შემდეგი თანმიმდევრობით:

- ჭაბურღილი №59-ის პირზე განთავსებული აღრიცხვის კვანძის და პავილიონის დემონტაჟი;
- სალიკვიდაციო სამუშაოებისათვის საჭირო სამუშაო მოედნის მოწყობა;
- ჭაბურღილის ლულიდან უჟანგავი ლითონის კომბინირებული კოლონის ამოღება (საერთო სიგრძე 668,0 მეტრი);
- ჭაბურღილის ლულის წყალშემცველი ჰორიზონტის (640,0 – 700,0 მ) ქლორიანი კირით დამუშავება (1 ლიტრ ხსნარზე 125 მგ აქტიური ქლორი);
- ჭაბურღილის ლულაში სალიკვიდაციო ტამპონაჟის ჩატარება ცემენტის ხსნარით (შესაძლებელია ჭაბურღილის ლულის წყალშემცველ ფენაში (640,0 – 700,0 მ) ჩაიყაროს ქვიშა, ხოლო ლულის ზედა ნაწილი შეივსოს თიხით ან ცემენტით);
- ჭაბურღილის პირზე, სამაგრი კოლონის ირგვლივ იყოს 4-5 მ სიღრმის შურფის (2,0x2,0 მ) ამოღება და ამოღებული გრუნტის ნაგავსაყრელზე გადატანა;
- შურფის ამოვსება სუფთა ბენტონიტური თიხით;
- ჭაბურღილის პირზე ბეტონის არმირებული ფილის მოწყობა (ზომით 2,5 x 2,5 x 0,3 მ.);
- ჭაბურღილის პირზე დაფის გაკეთება შესაბამისი წარწერით (ჭაბ-ის ლიკვიდაციის თარიღი; სამუშაოს შემსრულებელი ორგანიზაცია);

5. ჭაბურღილი №59-ის სალიკვიდაციო ტამპონაჟის ჩატარების ყველა მეთოდი და ყველა ცვლილება შეთანხმებული უნდა იყოს სამუშაოს „დამკვეთთან“.

6. სამუშაოს „შემსრულებელი“ ვალდებულია მკაცრად დაიცვას ჭაბ.№59-ის სანიტარულ ზონაში მუშაობის ყველა მოთხოვნა.

7. წინამდებარე ტექნიკური დავალებით განსაზღვრული ჭაბურღილი №59-ის კომპლექსური და რთული სალიკვიდაციო სამუშაოების შესრულების ვადად განსაზღვრულია 60 კალენდარული დღე.